ყურადღებით გაეცანით იგავ-არაკს ,,მგელი და კრავი“ და დასმულ კითხვებზე შეარჩიეთ სწორი პასუხები

1. **მგელი და კრავი მდინარის პირას შეხვდნენ ერთმანეთს. რა უნდოდა კრავს მდინარის პირას?**

   დასცხა და წყალი მოსწყურდა;

   დედას გამოეპარა საბანაოდ;

   თამაშით დაიღალა და ისვენებდა წყლის პირას.

2. **რა უნდოდა მგელს მდინარის პირას?**

   თავის დაკარგულ შვილებს ეძებდა და შემთხვევით აღმოჩნდა მდინარესთან;

   კრავს კვალში უდგა და მდინარემდე მისდია;

   იქვე მშიერი დაძუნძულებდა და უეცრად სუნი ეცა.

LIVEWORKSHEETS

3. რას ნიშნავს ფრაზა ,,გამოიგონა შარები“?

შური აღეძრა;

ცილი დასწამა;

შაირები მოიგონა.

4. რატომ გადაწყვიტა მგელმა კრავის დადანაშაულება?

კრავი მართლაც დამნაშავე იყო და მისთვის ჭკუის სწავლება უნდოდა;

მისი შეჭმა უნდოდა;

კრავის გაბრაზება უნდოდა.

5. რომელი ბრალდება წაუყენა მგელმა კრავს?

ძალიან ხმამაღლა კიკინებ და ძილს მიფრთხობო;

წყალს მიმღვრევ და აღარად მაგდებო;

ჩემი ბუნაგიდან საჭმელი მომპარეო.

6. ვის ეკუთვნის სიტყვები: ,,შე ბრიყვო“, ,,ნუ წაგიგდია ენაო“, ,,ხმა ჩაიკმინდე“?

ავტორს;

მგელს;

კრავს.

LIVEWORKSHEETS

7. **რას იშველიებს მგელი თავისი თავხედობისა და უტიფრობის გასასამართლებლად?**

კანონსა და სამართალს;

ნადირთა მეფის ნათქვამს კრავის შესახებ;

სიზმარში ნანახს.

8. **შეარჩიე აზრი, რომლითაც კრავი ხასიათდება:**

შეშინებულია და მგლის ბრალდებეს აბნეულად პასუხობს;

მგლის ბრალდებებს თავდახრილი და ჩუმად ისმენს;

მგლის ბრალდებებს ჭკვიანურად და დასაბუთებულად სცემს პასუხებს.

9. **რა ჰქვია საუბრის ფორმას, რომელიც გამოყენებულია ამ იგავ-არაკში?**

მონოლოგი;

დიალოგი;

პოლილოგი.

10. **შეარჩიე სტრიქონი, რომელშიც გადმოცემულია იგავის დედააზრი(მთავარი სათქმელი)**

,,თქვენ ზევითა ხართ, მე-ქვევით, როგორ აგიმღვრევთ წყალსაო'';

,,შენი ჩაკვრეხა რომ მნებავს, მიზეზად ისიც კმარაო";

,,დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი?"

LIVEWORKSHEETS

LIVEWORKSHEETS